



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1283 2021 წლის 27 ივლისი ქ. თბილისი

2021 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში არა უმეტეს 3 000 000 ლარის მოძიება და მიმართვა „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის“ დასაფინანსებლად.

2. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), შეხილევების სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ კომპანიებზე (შემდგომში – კომპანია), რომლებიც 2021 წლის 15 დეკემბრამდე 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდიან არანაკლებ 0.22 ლარად, გასცეს სუბსიდია 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 0.10 ლარის ოდენობით.

3. სააგენტომ, 2021 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. სააგენტომ კომპანიებზე სუბსიდიის თანხა გასცეს უნაღლო ანგარიშსწორებით, ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირების (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სააგენტო, ჩამბარებელი პირი და კომპანია) მიერ ვაშლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის სააგენტოსთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

5. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების მიმდინარეობისას უზრუნველყოს ვაშლის ჩაბარების პროცესზე კონტროლი, წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

6. კომპანიები, რომლებსაც 2021 წლის განმავლობაში განზრახული აქვთ ვაშლის მიღება-გადამუშავება, ვალდებული არიან:

ა) გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით საკოორდინაციო შტაბში;

ბ) უზრუნველყონ კომპანიების არანაკლებ 10 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით, ასევე საკოორდინაციო შტაბის მიერ განსაზღვრული მონაცემების შესაბამისად პერსონალური კომპიუტერით/ნოუტბუქით და პრინტერით აღჭურვა;

გ) უზრუნველყონ ვაშლის მიმღები საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეოკამერისა, ინტერნეტის სიჩქარე = 1 მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე

წვდომების გახსნა, ვიდეოჩამწერის მომხმარებელი, კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეოჩამწერი, თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ღამის ხედვის ფუნქციით, ვაშლის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე)), რომლის საშუალებითაც განხორციელდება ვაშლის მიღება-ჩაბარებისა და გადამუშავების პროცესის კონტროლი.

7. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ კომპანიას, რომელსაც დაცული აქვს ამავე განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობები და რომელიც:

ა) ვაშლის მიღება-გადამუშავების პროცესის დაწყებამდე სააგენტოსთან გააფორმებს ხელშეკრულებას;

ბ) შესყიდული 1 კგ ვაშლის სანაცვლოდ ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 0,22 ლარს;

გ) 2021 წლის 25 დეკემბრამდე სააგენტოს წარუდგენს:

გ.ა) ვაშლის ჩაბარების თაობაზე ვაშლის ჩამბარებელსა და კომპანიას შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სააგენტოს, კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ვაშლის ჩამბარებელი;

გ.ბ) ვაშლის ჩამბარებლისთვის/ჩამბარებლებისთვის 1 კგ ვაშლის შესყიდვის სანაცვლოდ არანაკლებ 0,22 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

8. კომპანიაზე ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული სუბსიდია გაიცემა ამავე განკარგულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

9. კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს ვაშლის ყოველდღიური მიღების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკოორდინაციო შტაბისათვის.

10. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, 2021 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 52 (ორმოცდათორმეტი) ერთეულით, რომელთა არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომის ანაზღაურება დაფინანსდება პროგრამის – „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 C5 22) ფარგლებში.

11. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი